გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2018-2019 წლების საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:

მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა - “შენი იდეა ბათუმს“.

მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება და განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით (www.idea.batumi.ge).

2. თემატიკა

მოქალაქეთა თანამონაწილეობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

3. პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი:

ინიციატივის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროექტი "შენი იდეა ბათუმს" ხორციელდება ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორის სააგენტოს (USAID/Georgia) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI Georgia) და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

4. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია, მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება.

აღნიშნული ინიციატივის განხორციელებამდე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან კონსულტაციის, კვლევებისა და გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე გეგმავდა ბიუჯეტს, რომელის საჯარო განხილვა და უკუკავშირის საფუძველზე მისი დაკორექტირება ხდებოდა დამტკიცებამდე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა მოქალაქეთა დიდ ნაწილს რჩებოდა იმის განცდა, რომ ბიუჯეტი იგეგმებოდა მათგან დამოუკიდებლად და არ ხდებოდა მათი იდეების გათვალისწინება.

პროექტი "შენი იდეა ბათუმს“ გადაიქცა პლატფორმად, რომელიც მოქალაქეს საშუალებას აძლევს:

- თავად გადაწყვიტოს რაში უნდა დაიხარჯოს ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბიუჯეტში გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხა (500 000 ლარი);
- ბათუმის ბიუჯეტი მოახმაროს ქალაქისთვის სასიკეთო იდეის განხორციელებას;
- საკუთარი წვლილი შეიტანოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში;
- უკეთესობისკენ შეცვალოს მის ირგვლივ არსებული გარემო.

პროექტის განხორციელებამ გამოიწვია მოსახლეობის მაღალი დაინტერესება უზრუნველყო მათი ჩართულობა, როგორც იდეების რეგისტრაციის, ასევე საუკეთესო იდეების გამოვლენის პროცესში.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი;

გეოგრაფიული მდებარეობა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკა;

მოსახლეობის რაოდენობა: 168’000 კაცი (წყარო: საქ. სტატი);

ფართობი: 64,94 კვ/მ;

2019 წლის ბიუჯეტი: 150’632.9 ლარი.

6. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

აღნიშნული პრაქტიკის / ინიციატივის განხორციელებისათვის აუცილებელია არსებობდეს შემდეგი სახის მუნიციპალური რესურსი:

1. **მუნიციპალიტეტის მზაობა** - მუნიციპალიტეტის მერია პასუხიმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორცილებაზე, ფინანსების გამოყოფაზე, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერაზე, გამარჯვებული წინადადების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვაზე და მის შემდგომ იმპლემენტაციაზე.
2. **ფინანსური რესურსი,** რომელიც მოხმარდება მოქალაქეტა მხრიდან შემოსული და გამარჯვებული იდეების დაფინანსებას.
3. **ადამიანური რესურსი,** კერძოდ კი:
   - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური პასუხისმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ზოგად მართვასა და კოორდინაციაზე;
   - მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება პასუხისმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, მ.შ.: მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ყველა ეტაპზე მოსახლეობისათვის და საუბნო კავშირებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე, აგრეთვე წარდგენილი და გამარჯვებული საპროექტო წინადადებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე.
   - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ პასუხიმგებელია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ტექნიკურ მხარდაჭერაზე და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან კოორდინაციით საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის განხორციელებაზე;
   - საუბნო კავშირი პასუხიმგებელია მონაწილეობით ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული საჯარო შეხვედრების ორგანიზებაზე, მოქალაქეებისათვის მონაწილეობითი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე და საპროექტო წინადადებების მომზადებაში დახმარებაზე;
   - მრჩეველთა საბჭო პასუხიმგებელია წარდგენილი პროექტების საბოლოო ანალიზზე და საჯარო ხმის მიცემის პროცედურით შედეგების შეჯამებაზე, ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებაზე.
4. **ტექნიკური რესურსი** - ონლაინ პლატფორმა, რომელზე რეგისტრაციასაც შეძლებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები (პ.ს. როგორც იდეების რეგისტრაცია, ასევე ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეს). ვებ-გვერდი უნდა იყოს გამართული და ინტეგრირებული იუსტიციის სახლის ბაზასთან, რათა ავტომატურად მოხდეს იმ პირების იდეტიფიცირება, რომლებიც რეგისტრირდებიან საიტზე.

პროექტის წარმატებით განხორციელებისატის უნდა არსებობდეს შემდეგის ახის ხელშემწყობი გარე ფაქტორებ:

1. მოსახლეობაში არსებული ინტერესი ჩაერთოს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში;
2. მოსახლეობაში არსებული ტექნიკური უნარები, კერძოდ კი ტელეფონის/კომპიუტერის ფლობის დონე (ძირითადად 65 წელს გადაცილებულ მოქალაქეს ჭირდება სხვა პირის დახმარება);
3. მუნიციპალიტეტში ინტერნეტიზაციის მაღალი დონე, რათა მარტივად მოხდეს ონლაინ პლატფორმაზე რეგისტრაცია.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/ ინიციატივის დეტალური აღწერა:**

7.1. **მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის პროცესი და პროცედურები**:

1. **მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტის განსაზღვრა:**
   - ყოველი წლის 31 მარტამდე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში მომდევნო წელს განსახორციელებელი პროექტების საერთო ბიუჯეტს, დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობას და თითოეული პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას.
   - ყოველი წლის 31 მარტამდე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია განსაზღვრავს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების წარდგენის ფორმებსა და ვადებს.
2. **მოქალაქეთა ინფორმირება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის შესახებ:**
   - ყოველი წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, საუბნო კავშირების მეშვეობით, აწყობს საჯარო შეხვედრებს მოქალაქეებთან და აწვდის ინფორმაციას მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში წარსადგენი პროექტების წარდგენის პროცედურებისა და ვადების შესახებ;
   - თითოეული საუბნო კავშირი ორგანიზებას უწევს მინიმუმ ერთ საჯარო შეხვედრას შესაბამისი უბნის მოქალაქეებთან;
   - საუბნო კავშირების მიერ დაგეგმილი საჯარო შეხვედრების საორგანიზაციო მხარდაჭერას ახორციელებს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო";
   - საუბნო კავშირების მიერ დაგეგმილი საჯარო შეხვედრების საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.
3. **საპროექტო განაცხადების წარდგენა:**
   - ამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში, საპროექტო განაცხადების წარდგენა შეუძლია ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ყველა მოქალაქეს ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს;
   - თითოეულ მოქალაქეს ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის დარეგისტრირება;
   - საპროექტო განაცხადების წარდგენა ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ დადგენილ ვადაში და ფორმატით;
   - მოქალაქეს ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს შეუძლია ელექტრონულად და არეგისტრიროს საკუთარი საპროექტო განაცხადი ქ. ბათუმის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონულ პლატფორმაში;
   - მოქალაქეს ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს ასევე შეუძლია საკუთარი საპროექტო განაცხადი დაარეგისტრიროს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრებში (ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით);
   - შენიშვნა: საპროექტო განაცხადის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრებში დარეგისტრირების შემთხვევაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრები ტვირთავენ მიღებულ საპროექტო განაცხადებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონულ პლატფორმაში.
4. **მოწოდებული იდეების პირველადი ანალიზი:**
   - მერიის მიერ, დადგენილ ვადებში, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით

ახორციელებს მოქალაქეთა ან/და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ მოწოდებული საპროექტო განაცხადების პირველად ანალიზს;

- საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის მიზანია საპროექტო განაცხადების აუცილებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა:
    - საპროექტო განაცხადის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში;
    - საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა ექცეოდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში;
    - საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში განსაზღვრული პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;
    - იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო განაცხადის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ქონება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.
- საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის პროცესში, ასევე, განისაზღვრება მოწოდებული საპროექტო განაცხადების განხორციელებადობა მომავალი ერთი წლის განმავლობაში;
- საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის შედეგები თავსდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე;
- ყველას აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს მუნიციპალიტეტს საკუთარი შენიშვნები საპროექტო განაცხადების პირველადი ანალიზის შედეგებთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე;
- საპროექტო განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელებადია მომდევნო წლის განმავლობაში, მიზანშეწონილობის შეფასების მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - მრჩეველთა საბჭო);
- საპროექტო განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს - გამოირიცხება და მიეთითება დეტალური მიზეზი, თუ რატომ არ იქნა შერჩეული აღნიშნული პროექტი შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.

5. **საპროექტო განაცხადების საბოლოო ანალიზი:**
    - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილ ვადებში, მრჩეველთა საბჭო მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით ახდენს პროექტების საბოლოო ანალიზს და გამოავლენს საუკეთესო განაცხადებს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად;
    - საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული განცხადების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ათ პროექტს;
    - საპროექტო განაცხადები საქმიანობის არსიდან გამომდინარე ჯგუფდება თემატური ჯგუფების მიხედვით;
    - მრჩეველთა საბჭო საპროექტო განაცხადების შესაბამისი თემატური ჯგუფების განხილვას ახორციელებს შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობით;
    - საპროექტო განაცხადების თემატური ჯგუფების განხილვისას და საპროექტო განაცხადების შერჩევისას ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს:
        - პროექტის განხორციელების შემდგომი საოპერაციო ხარჯების ოდენობა;
        - პროექტის შედეგის გრძელვადიანი ეფექტი;

    - საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის მუნიციპალურ პროგრამებთან კავშირი ან დუბლირება;
    - საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის გენდერული ასპექტი;
    - საპროექტო განაცხადის მიზნისა და ამოცანების ქ. ბათუმის განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა;
    - პროექტში ჩართული ან/და პროექტის შედეგებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა;
    - პროექტის განხორციელების საორგანიზაციო-ადმინისტრაციული მხარდაჭერისხარჯები;
    - პროექტის განხორციელების გეოგრაფიული არეალი.
- საპროექტო განაცხადების საბოლოო ანალიზის პროცესში შესაძლებელია მსგავსი პროექტების კომბინირება და იდეების შევსება.
- მრჩეველთა საბჭოს მიერ, საპროექტო განაცხადების შერჩევა ხდება რეიტინგული ღია კენჭისყრით. კენჭისყრა ჩაითვლება ჩატარებულად, თუ მასში მონაწილოებას იღებს მრჩეველთა საბჭოს დამსწრე წევრთა 50%-ზე მეტი.
- პირველი 10 საპროექტო განაცხადი, რომელიც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვებს ყველაზე მეტ ხმას, რეკომენდირებული იქნება საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად;
- მრჩეველთა საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადები თავსდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე, შესაბამის ბლოკში და მონაწილეობს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში;
- ის საპროექტო განაცხადები, რომელთა შერჩევაც არ მოხდა საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე თავსდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე შესაბამის ბლოკში, სადაც მიეთითება დეტალური მიზეზი, თუ რატომ არ იქნა შერჩეული აღნიშნული პროექტი ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად.

6. საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენა:

- საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენა ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე პირდაპირი ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობს მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით შერჩეული არაუმეტეს ათი პროექტი;
- ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;
- ხმის მიცემის პროცესის ზედამხედველობას ახორციელებს მრჩეველთა საბჭო;
- ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის უფლება გააჩნია ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ყველა მოქალაქეს, რომლის ასაკიც აღემატება 18 წელს;
- ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილე მოქალაქეს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთხელ და მაქსიმუმ სამ საპროექტო განაცხადს;
- ხმის მიცემის პროცედურა ხორციელდება ელექტრონულად;
- ხმის მიცემის პროცედურაში მოქალაქის იდენტიფიკატორად გამოიყენება მოქალაქის პირადი ნომერი;
- ის პირები, რომელთაც არ აქვთ ელექტრონულად ხმის მიცემის შესაძლებლობა, მიმართავენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას ან სერვის ცენტრებს

(ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით), სადაც მათ მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემის პროცედურაში.

7. **ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრა:**
   - საპროექტო განაცხადების რეიტინგის ფორმირება ხორციელდება ხმის მიცემის პროცედურის შედეგად მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად;
   - ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ წარუდგენს მრჩეველთა საბჭოს საპროექტო განაცხადების ხმის მიცემის პროცედურის შედეგებს;
   - მრჩეველთა საბჭო ადასტურებს ხმის მიცემის პროცედურის შედეგებს.

8. **განსახორციელებელი საპროექტო განაცხადების განსაზღვრა:**
   - პირველი სამი საპროექტო განაცხადი, რომელმაც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვა ყველაზე მეტი ხმა აისახება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტში და ექვემდებარება დაფინანსებას;
   - იმ შემთხვევაში, თუ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საერთო ბიუჯეტი, ნაკლებია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტების თვის წინასწარ განსაზღვრულ საერთო ბიუჯეტზე, მაშინ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი დამატებით აფინანსებს მომდევნო საუკეთესო საპროექტო განაცხადს, თუ ის შეესაბამება დარჩენილ ბიუჯეტს.

7.2. განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება (N102) „მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება (N74);

მერის ბრძანება და საკრებულოს დადგენილება თან ერთვის განაცხადის ფორმას დანართის სახით.

7.3. ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ

პროექტის განხორციელების პროცესში ჩართული არიან:

1. მოქალაქეები, რომლებიც არეგისტრირებენ იდეებს და მონაწილეობას ღებულობენ ხმის მიცემის პროცესში საუკეთესო იდეების გამოვლენის მიზნით;

2. მერის მრჩეველთა საბჭო - პასუხიმგებელია წარდგენილი პროექტების საბოლოო ანალიზზე და საჯარო ხმის მიცემის პროცედურით შედეგების შეჯამებაზე, ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებაზე.

7.4. ინფორმაცია გამოყენებული რესურსების შესახებ;

1. ფინანსური რესურსი - გამარჯვებული იდეების დასაფინანსებლად, რომელიც წინასწარ არის ასახული ბიუჯეტში;

2. ადამიანური რესურსი - რომლებიც ცართული არიან პროექტის PR-ის, მოქალაქეთა რეგისტრაციის, განაცხადების განხილვის, გამარჯვებული იდეების განხორციელების პროცესში;

3. ტექნიკური რესურსი - იგულისხმება: 1. ვებ-პლატფორმა, 2. სერვისცენტრები სადაც ხდება მოქალაქეთა რეგისტრაცია.

7.5. განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;

ყველაზე დიდი გამოწვევა პროექტის განხორციელების პროცესში არის ონლაინ პლატფორმაზე რეგისტრაციის პროცესი (რეგისტრაციის გარეშე შეუძლებელია, როგორც იდეის რეგისტრაცია, ასევე ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა), კერძოდ კი იუსტიცის სამინსიტროს მოთხოვნით დისტანციური რეგისტრაციისთვის საჭიროა ელექტორნული ხელმოწერა ან თანხმობის წერილი, რომ მერიამ გადაამოწმობს ხმის მიმცემი და მიანიჭოს სახელი და პაროლი. მოგეხსენება ამ ეტაპზე ძალიან ცოტა ფლობს ელექტორუნ ხელმოწერას, სწორედ ამიტომ რეგისტრაციისათვის მოქალაქემ თანხმობა უნდა განაცხადოს მერიაში ან ბათუმის 14 ტერიტორიულ სერვის ცენტრში.

აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ ასევე იმართებოდა საჯარო შეხვედრები სადაც ხდებობდა მოქალაქეტა პირდაპირი რეგისტრაციები მერიის თანამშრომლების დახმარებით.

7.6. ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართული იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;

პროექტი "შენი იდეა ბათუმს" ხორციელდება ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორის სააგენტოს (USAID/Georgia) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI Georgia) და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

8. მიღწეული შედეგი:

რეგისტრირებულთა რაოდენობა: 2203 მომხმარებელი;

დარეგისტრირებული იდეების რაოდენობა: 65 იდეა;

ბიუჯეტში ასახული იდეების რაოდენობა: 3 იდეა (2019 წლის ბიუჯეტში);

ბიუჯეტი:

- 2019 წელი: 120 000 ლარი;
- 2020 წელი: 500 000 ლარი.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

პროექტის წარმატების განმაპირობებელ ძირითად ფაქტორად გვევლინება მოქალაქეთა ჩართულობის აღნიშნული ფორმის ინოვაციურობა, პროცესი არის სრულიად გამჭვირვალე. აღსანიშნავია ისიც, რომ მოქალაქეები შეზღუდულები არ არიან იდეების წარდგენის პროცესში და შესაფების პროცესში მერიის თანამშრომლები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ.

წარმატების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება ის, რომ მოქალაქე რომლის იდეაც დაფინანსდა ჩართული არის დაფინანსებული პროექტის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში.

პროექტის მდგრადობას განაპირობებს:

1. მერიის მზაობა გააგრძელოს პროექტი და შემდგომ წლებში გაზარდოს ბიუჯეტი (2020 წლის ბიუჯეტი დაახლოებით 4-ჯერ არის გაზრდილი);
2. ქალაქ ბათუმის მჯუნიციპალიტეტის მერია ჩართულია საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პროცესში, რომელიც ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების ვალდებულებას ითვალისწინებს;
3. მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან პროექტის ეფექტიანად განხორციელებისადმი არსებული მაღალი ინტერესი.

10. საკრებულოს როლი:

საკრებულოს მიერ მოწონებული იქნა აღნიშნული პროექტი და მათ მიერ მოხდა ბიუჯეტის დამტკიცება. მოცემული ეტაპისათვის საკრებულოს ჩართულობა განისაზღვრება მხოლოდ ბიუჯეტის დამტკიცებით. სამომავლოდ იგეგმება პროექტის წესის დამტკიცების უფლების საკრებულოთვის მინიჭება (საკრებულო დაამტკიცებს წესს, ხოლო მერია გამოაცხადებს პროგრამას).

- პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში - N/A.
- საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში - N/A.

- როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდებულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ - N/A.

11. პრაქტიკასთან/ინიციატივასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა:

1. დაგეგმილია პროექტის ბიუჯეტის ყოველწლიურის ზრდა;
2. დაგეგმილია მოქალაქეტა რეგისტრაციის პროცესის გამარტივება, რისთვისაც იუსტიციის სამინისტროსთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები;
3. დაგეგმილია პროექტის წესის დამტკიცების უფლების საკრებულოთვის მინიჭება. საკრებულო დაამტკიცებს წესს, ხოლო მერია გამოაცხადებს პროგრამას;
4. დაგეგმილია პროექტების განხილვის პროცესში მოხალისეობრივ პრინციპებზე დაფუძნებით დარგის ექსპერტების ჩართულობა.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

სახელი გვარი: დავით არძენაძე;

თანამდებობა: მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ტელ.: +995 591 98 93 76

ელ.ფოსტა: David.ardzenadze@batumi.ge

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია:

1. მერის ბრძანება მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ (თავისი 2 დანართით);

2. მერის ბრძანება „მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 თებერვლის №102 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. მერის ბრძანება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადების დამტკიცების შესახებ;

4. მერის ბრძანება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში ასიგნების, საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადების დამტკიცების შესახებ;

5. მერის ბრძანება „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში ასიგნების, საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის

მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 ოქტომბრის №1230 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.